საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

GIP პოლიტიკის მემორანდუმი თებერვალი 2024 / გამოცემა #71

ევროკავშირის გაფართოების ცვალებადი ლანდშაფტი: რას ნიშნავს სლოვაკეთის ახალი მთავრობა საქართველოს ევროინტეგრაციისთვის?

დათო დოლაბერიძე[1], მარტინა მასლიკოვა[2]

2023 წლის დეკემბერში ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვებამ საქართველოსთვის ახალი რეალობა შექმნა, რომელშიც გადამწყვეტი როლი წევრ ქვეყნებთან, მათ შორის სლოვაკეთთან, სტრატეგიული კავშირების გამყარებას ენიჭება. საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება ასახავს ევროკავშირის მიერ ქვეყნის ერთგულების აღიარებას დემოკრატიული რეფორმების, კანონის უზენაესობისა და რეგიონული სტაბილურობის მიმართ, განსაკუთრებით რუსეთის უკრაინაში შეჭრის ფონზე (Georgia - European Commission 2023). გარდა ამისა, სტატუსის მინიჭება აძლიერებს გაერთიანებაში საქართველოს მომავალი გაწევრების პერსპექტივებს და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების სფეროებში მჭიდრო თანამშრომლობის შესაძლებლობებს ქმნის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სლოვაკეთმა წარმატებული ტრანზიცია განიცადა პოსტსოციალისტური ქვეყნიდან ევროკავშირის წევრობამდე და, შესაბამისად, მისთვის უცხო არ არის ევროპული ინტეგრაციის პროცესის ტრანსფორმაციული ძალა. გარდა ამისა, ევროკავშირის წევრი სლოვაკეთის ახალი მთავრობის ფორმირება კრიტიკულ ეტაპს

[1] დათო დოლაბერიძე ფლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხს პოლიტიკის მეცნიერებებში. ამჟამად, ის არის ამავე უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი.
[2] მარტინა მასლიკოვა სწავლობს კომბინირებულ საბაკალავრო პროგრამაზე ევროპის კვლევებსა და პოლიტიკის მეცნიერებებში მასარიკის უნივერსიტეტის სოციალური კვლევების ფაკულტეტზე.

წარმოადგენს საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე მისი პოტენციური გავლენის შესაფასებლად. თუმცა, სლოვაკეთის ევროკავშირთან ურთიერთობა, ბოლო პერიოდში, სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით დაძაბულობითა და უთანხმოებით გამოირჩეოდა (Fox et al. 2023), რაც საქართველოს გაწევრების ადვოკატირების კუთხით მის თანმიმდევრულობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. სლოვაკეთის ფოკუსმა საშინაო საკითხებსა თუ ეკონომიკურ გამოწვევებზე, შესაძლოა, შეზღუდოს მისი ყურადღება და მხარდაჭერა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის მიმართ. საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ ახალი მთავრობის კონკრეტული პოლიტიკა და პრიორიტეტები ჯერ კიდევ სრულად არ არის განსაზღვრული, ძალაუფლების ცვლას აქვს როგორც პოტენციური სარგებელი, ასევე გამოწვევები საქართველოს ევროპული მისწრაფებისთვის.

საქართველო-სლოვაკეთის ორმხრივი ურთიერთობები

საქართველო-სლოვაკეთს შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობები სათავეს 1993 წლიდან იღებს და მოიცავს დინამიკურ თანამშრომლობას როგორც ორმხრივ ფორმატში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში (აბაშიძე 2023; Marusiak 2010). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არასოდეს დაუმყარებია პირდაპირი სტრატეგიული პარტნიორობა სლოვაკეთთან და არც ამ უკანასკნელს აქვს კონკრეტული ინტერესები კავკასიის რეგიონში (გაჩეჩილაძე 2023), აშკარაა განსაკუთრებული კავშირები ვიშეგრადის ქვეყნებსა და საქართველოს შორის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1992-2023). კერძოდ, წლების განმავლობაში გაფორმდა რამდენიმე ორმხრივი თანამშრომლობის შეთანხმება, რომლებიც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ორმაგი დაბეგვრა, ტრანსპორტის შეთანხმებები და სხვა (Bušovský 2023). აღნიშნული შეთანხმებები ხაზს უსვამს ორმხრივ ვალდებულებას სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობის შესახებ (Bušovský 2023; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1992-2023).

ეკონომიკური თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და სლოვაკეთს შორის ვაჭრობის მოცულობა არსებითად შედარებადი არ არის საქართველოს ვაჭრობასთან სხვა უფრო დიდ ეკონომიკებთან, ბოლო წლებში, თვალშისაცემია ორმხრივი ძალისხმევა ეკონომიკური თანამშრომლობისთვის ინვესტიციებისა და კულტურული გაცვლის გასაძლიერებლად. სავაჭრო ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა, კონკრეტული საქონლისა და მომსახურების გაცვლას გულისხმობს. საქართველოს ექსპორტი სლოვაკეთში, როგორც წესი, ორიენტირებულია მის ტრადიციულად ძლიერ მხარეებზე, როგორიცაა სოფლის

მეურნეობის პროდუქტები, ღვინოები და მინერალური წყლები, რაც საქართველოს მდიდარ სასოფლო-სამეურნეო მემკვიდრეობას ასახავს. სლოვაკეთის იმპორტი საქართველოში კი ხშირად მოიცავს მანქანა-დანადგარებს, ელექტრო მოწყობილობებს და სხვა ქიმიურ და სამრეწველო პროდუქტებს, რაც სლოვაკეთის სამრეწველო შესაძლებლობების მაჩვენებელია (Bušovský 2023). თუმცა, როგორც ქვემოთ მოცემული გრაფიკიდან ჩანს, საერთო ჯამში, იმპორტისა და ექსპორტის ტენდენცია ბოლო წლებში მხოლოდ ზომიერად გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის საქართველოსა და სლოვაკეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობები საკმაოდ მოკრძალებულია, მას გააჩნია ზრდისა და დივერსიფიკაციის პოტენციალი. ორივე ქვეყანას შეუძლია ისარგებლოს გაზრდილი თანამშრომლობით, ცოდნის გაზიარებით და ორმხრივი ინვესტიციებით, განსაკუთრებით იმ სექტორებში, სადაც მათ ძლიერი მხარეები და ინტერესები აქვთ.

ცხრილი 1. სლოვაკეთსა და საქართველოს შორის ექსპორტის საერთო მაჩვენებელი 2016 წლიდან 2023 წლამდე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით.



ცხრილი 2. სლოვაკეთსა და საქართველოს შორის იმპორტის საერთო მაჩვენებელი 2016 წლიდან 2023 წლამდე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით.



დიპლომატიური თვალსაზრისით, სლოვაკეთი მუდმივად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, ისევე, როგორც ქვეყნის ევროინტეგრაციისკენ სწრაფვას. ეს ურყევი ვალდებულებები კიდევ ერთხელ დადასტურდა მაღალი დონის თანმიმდევრული ჩართულობით, გაღრმავებული ეკონომიკური თანამშრომლობითა და თავდაცვის კავშირების გაფართოებით. 2015 წელს, სლოვაკეთმა გამოხატა თავისი აღშფოთება რუსეთსა და საქართველოს სეპარატისტულ ცხინვალის რეგიონს შორის ე.წ. სასაზღვრო ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ. აღნიშულ ცალმხრივ ნაბიჯს, რომელიც საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის ლეგიტიმაციისკენ იყო მიმართული, სლოვაკეთის მხრიდან მტკიცე პასუხი მოჰყვა (სლოვაკეთი გმობს „სასაზღვრო ხელშეკრულებას“ რუსეთსა და საქართველოს სეპარატისტულ რეგიონს შორის 2015 წ.). კერძოდ, ქვეყანამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ურყევი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და ხაზი გაუსვა საერთაშორისო სამართლის პატივისცემის მნიშვნელობას. ორმხრივი კავშირების განმტკიცებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი 2023 წლის 1 აგვისტოს გადაიდგა, როდესაც თბილისში გაიხსნა სლოვაკეთის თავდაცვის ატაშეს ოფისი. აღნიშნულმა პლატფორმამ კიდევ უფრო გააძლიერა ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობა, რამაც შესაძლებელი გახადა გამოცდილების გაზიარება და თავდაცვის რეფორმებისა და

ერთობლივი წვრთნების ხელშეწყობა (Štátny Tajomník M. Majer: Zriadenie Úradu Vojenského Pridelenca v Tbilisi Pomôže Skvalitniť Naše Vzťruzíkoms). ოფისის დაარსება ასევე ადასტურებს სლოვაკეთის ერთგულებას საქართველოსთან თავდაცვის პარტნიორობის გაძლიერებისა და სამხრეთ კავკასიაში რეგიონული სტაბილურობის ხელშეწყობის მიმართ. გარდა ამისა, სლოვაკეთის ელჩები საქართველოში მუდმივად გამოხატავდნენ თავიანთ მხარდაჭერას საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების მიმართ. მათ პირობა დადეს, რომ გააგრძელებენ საქართველოსთან ერთად სვლას ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე, 2004 წლამდე სლოვაკეთის ინტეგრაციის გამოცდილების გათვალისწინებით. ამ ტიპის ღირებული მხარდაჭერა მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრების კომპლექსურ პროცესში ნავიგაციის მიმართულებით, რათა ქვეყანას საბოლოოდ გაეხსნას გზა მომავალი წევრობისთვის.

ამდენად, საქართველოსა და სლოვაკეთს ბევრი საერთო აქვთ, მათ შორის ყოფილი საბჭოთა და აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებიდან ბაზარზე ორიენტირებულ დემოკრატიებზე გადასვლის გარდამავალი გამოცდილება, ევროპული მისწრაფებები და სტრატეგიულ გეოგრაფიულ პოზიციებზე განლაგება. ეს საერთო მახასიათებლები ღრმა ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობას ქმნიან. მაგალითისთვის, ისეთ სფეროებში, როგორიცაა ვაჭრობა, ინვესტიციები, ტურიზმი და კულტურული გაცვლა, ქვეყნებს ორმხრივი თანამშრომლობის არსებითი პოტენციალი გააჩნიათ, რომელიც ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის ათვისებული.

სლოვაკეთის ახალი მთავრობა და მათი დამოკიდებულება ევროკავშირის გაფართოების მიმართ

სლოვაკეთის პოზიცია ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების, განსაკუთრებით კი „ასოცირებული ტრიოს“ მიმართ, კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს, რომელიც წარსული გადაწყვეტილებებით, მიმდინარე პოლიტიკური პროცესებითა და უფრო ფართო გეოპოლიტიკური ლანდშაფტით არის განსაზღვრული. სლოვაკეთის მმართველი პარტია „სმერი“ ჩრდილს აყენებს ქვეყნის მანამდე არსებულ პოზიციას ამ საკითხთან მიმართებაში. მათი რიტორიკა ხშირად ეხმიანება ანტიამერიკულ სენტიმენტებს, შეთქმულების თეორიებსა და უკრაინაზე ფოკუსირებულ დეზინფორმაციას, რაც ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის მიმართ სლოვაკეთის მხარდაჭერასთან დაკავშირებით გარკვეულ ეჭვებს ბადებს. თუმცა, „სმერის“ თორმეტწლიანი მმართველობის უფრო დეტალური ანალიზი სულ სხვა

სურათს ავლენს. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის განცხადებები შეიძლება ხისტი იყოს, მისი ქმედებები ხშირად პრაგმატიზმით არის მოტივირებული და პარტიის პოლიტიკური გადარჩენა მის იდოლოგიურ შეხედულებებზე წინ დგას ხოლმე. ეს პრაგმატიზმი ვლინდება სლოვაკეთის ისტორიულ მხარდაჭერაში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიმართ, რაც კარგად ჩანს ისეთ ქმედებებში, როგორიცაა ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა და ვიზა ლიბერალიზაციის ადვოკატირება. „სმერის“ რიტორიკის მიღმა, სლოვაკეთის ევროკავშირის წევრობისკენ 2004 წელს განვლილი გზა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას გაფართოების პოლიტიკის მიმართ. პოსტსოციალისტური სახელმწიფოების გამოწვევებისა და შესაძლებლობების გადააზრებამ ხელი შეუწყო აღმოსავლეთ გაფართოების მიმართ თავდაპირველ ენთუზიაზმს. აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებთან მჭიდრო კავშირები, მათ შორის, რეგიონული თანამშრომლობისა და უსაფრთხოების გაძლიერების საშუალებადაც განიხილებოდა. თუმცა, ეს პოზიცია დროთა განმავლობაში განვითარდა და შეიცვალა სლოვაკეთის პოლიტიკური ლანდშაფტისა და ევროკავშირთან მისი ურთიერთობის ცვლილების პარალელურად.

მიუხედავად იმისა, რომ სლოვაკეთმა მხარი დაუჭირა 14 დეკემბრის ევროსაბჭოს გადაწყვეტილებას უკრაინასა და მოლდოვასთან გაწევრიანების მოლაპარაკებების ინიცირებისა და საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ, მისი ბოლოდროინდელი ქმედებები, როგორიცაა უკრაინისთვის იარაღის დახმარების შეწყვეტა და კორუფციის შესახებ შეშფოთების გამოხატვა, ასოცირებული ტრიოს მხარდაჭერის მიმართ ქვეყნის არაერთგვაროვან სიგნალებზე მიუთითებს (European Council 2023). თუმცა, ეს დათქმები შეიძლება ეხებოდეს კონკრეტულად უკრაინას და არა თავად გაფართოების პოლიტიკის უარყოფას. აღსანიშნავია, რომ სლოვაკეთმა დადებითი შეფასება გამოხატა ბალკანეთის ქვეყნების, როგორც პოტენციური კანდიდატების მიმართ. აღნიშნული დამოკიდებულება განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა სლოვაკეთის ევროსაბჭოს თავმჯდომარეობის პერიოდში, 2016 წელს, როდესაც რობერტ ფიცოს პარტიამ გამოავლინა მხარდაჭერა ევროკავშირის სამომავლო გაფართოებისადმი, რაც გაერთიანების წევრობის მიმართ კანდიდატის მზაობას ეფუძნებოდა. საბოლოო ჯამში, სლოვაკეთის დამოკიდებულება ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების შესახებ მრავალმხრივ, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ, პროგრესირებად საკითხად რჩება. ისტორიული გამოცდილება, „სმერის“ პრაგმატული, მაგრამ რიტორიკული მიდგომა და მიმდინარე რეგიონული დინამიკა, მათ შორის უკრაინის ომი, კიდევ უფრო უწყობს ხელს ამ გაურკვევლობას. „სმერის“ სათავეში რობერტ ფიცოს დაბრუნებით, გართულდა მსგავსი მნიშვნელობის საკითხებზე სლოვაკეთის

მთავრობის ხედვის პროგნოზირება, თუმცა, მიუხედავად ამ გაურკვევლობისა, ნაშრომის შემდგომი ნაწილი შეეცდება, წინასწარ განსაზღვროს ფიცოს ადმინისტრაციის სავარაუდო მიდგომა საქართველოს ევროკავშირისკენ მისწრაფებების მიმართ.

მოლოდინები საქართველოსთვის

საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სლოვაკეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების დინამიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული კავშირები და გაზიარებული გამოცდილება თანამშრომლობის შესაძლებლობებს ქმნის, სლოვაკეთში ბოლოდროინდელი ცვლილებები ევროსკეპტიციზმისა და პოტენციური არალიბერალური ტენდენციების მიმართულებით გარკვეულ შეშფოთებას იწვევს. საქართველოს ევროატლანტიკური გზის შემდგომი განვითარება დამოკიდებული იქნება სლოვაკეთში მიმდინარე განვითარებების, ევროკავშირის შიდა დაპირისპირებებისა და საქართველოს მხრიდან რეფორმების პროცესის ერთგულების ურთიერთმიმართებაზე. თუმცა, გაფართოების პოლიტიკის მიმართ საერთო ამბივალენტური ხედვა ასოცირებულ სამეულში საქართველოს ადგილის შესახებ მნიშვნელოვან დისკუსიას ხსნის.

ერთი მხრივ, როგორც წარსული გამოცდილება გვიჩვენებს, სლოვაკეთი ფიცოს მთავრობების პერიოდში ღია იყო ევროკავშირის გაფართოების მიმართ. პრემიერ-მინისტრობის პირველი ვადის განმავლობაში (2006-2010), ფიცომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების ადვოკატირებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. მან ხაზი გაუსვა ინტეგრაციის სარგებელს რეგიონული სტაბილურობისა და ეკონომიკური კეთილდღეობისთვის. ფიცო ასევე აქტიურად მონაწილეობდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში, რომელიც ხელს უწყობს მჭიდრო კავშირების განვითარებას ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. ის ამ ნაბიჯს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის ევროკავშირის საბოლოო წევრობისკენ მიმავალ მნიშვნელოვან კონტრიბუციად მიიჩნევდა. 2016 წლის ივლისიდან დეკემბრამდე, ევროკავშირის საბჭოში სლოვაკეთის თავმჯდომარეობის პერიოდში, პრემიერ-მინისტრი ფიცო საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის მხურვალე მხარდამჭერი იყო (გაჩეჩილაძე 2023). ეს მხარდაჭერა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) და საქართველოს მიმართ ვიზალიბერალიზაციის პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ ინიციატივებში (Slovakia Presidency of the Council of the European Union 2016).

გარდა ამისა, ქვეყნის შიგნით არსებული ევროსკეპტიკური ტენდენციების მიუხედავად, სლოვაკეთის მთავრობისთვის ევროკავშირში ინტეგრაციის გამოწვევები უცხო არ არის. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო, სლოვაკეთის მსგავსად, პოსტსოციალისტური ქვეყანაა, ამ უკანასკნელს მნიშვნელოვანი ღირებულებებისა და გამოცდილების გაზიარება შეუძლია საქართველოსთვის წარსულს სოციალისტური სისტემიდან ევროპულ დემოკრატიად ტრანსფორმაციის შესახებ. საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა მნიშვნელოვნად დააჩქარებს საქართველოს ევროინტეგრაციის პროგრესს. გარდა ამისა, ევროკავშირში გაწევრებასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების მიმართულებით სლოვაკეთის გამოცდილებამ შესაძლოა გააძლიეროს ქვეყნის თანაგრძნობა და პოზიტიური დამოკიდებულება საქართველოს სიტუაციის მიმართ, რაც, თავის მხრივ, შეიძლება ევროკავშირში საქართველოს კანდიდატურის უფრო მტკიცე პოლიტიკურ მხარდაჭერაში გადაიზარდოს (აბაშიძე 2023).

მეორე მხრივ, ევროინტეგრაციის საკითხებზე ფოკუსის ნაცვლად, ფიცოს პრიორიტეტებმა ქვეყნის შიგნით ძალაუფლების შენარჩუნებისკენ გადაინაცვლა (Burke 2023). ამან, სავარაუდოდ, გამოიწვია ყურადღების შემცირება ევროკავშირის გაფართოების მიმართ და უფრო ფრთხილი მიდგომა, რომელიც სლოვაკეთის მთავრობაში მზარდ ევროსკეპტიციზმს ასახავს. ევროკავშირის გაფართოების პროცესში კიდევ ერთი ღიად ევროსკეპტიკოსი ქვეყნის არსებობას შეუძლია გაართულოს ასოცირებული ტრიოს ინტეგრაციის პროცესი და ევროკავშირის მხრიდან ახალი წევრების მისაღებად არასაკმარის მზადყოფნას კიდევ უფრო გაუსვას ხაზი (Nguyen et al. 2023).

გარდა ამისა, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ევროსკეპტიკური განწყობის ესკალაცია მნიშვნელოვნად აისახება წევრობის მსურველი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, პოლიტიკურ დისკურსზე. აღნიშნული სახელმწიფოების პოლიტიკური ლიდერები და ფრაქციები ხშირად იყენებენ ევროკავშირის შიდა უთანხმოებას იმ არგუმენტების გასაძლიერებლად, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გაწევრებას ან უფრო მოზომილი ინტეგრაციის პროცესს უჭერენ მხარს. საქართველოში ეს დინამიკა ევროკავშირის მიერ დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიმართულებით არსებულ გამოწვევებში გამოიხატება. მმართველი „ქართული ოცნება“ იდეოლოგიურ პარალელებს ავლენს ევროსკეპტიკოს წევრ ქვეყნებთან, რაც განსაკუთრებით გამოიხატება ევროკავშირის ბიუროკრატიული მიდგომის და პოსტსაბჭოთა კონტექსტის ნიუანსებისადმი უგრძნობლობის კრიტიკაში. აღსანიშნავია, რომ როგორც „ქართული ოცნება“, ისე ევროსკეპტიკოსი ევროკავშირის წევრი მთავრობები, როგორებიცაა სლოვაკეთი და უნგრეთი,

ევროკავშირის პოზიციისთვის შეუსაბამო პოლიტიკურ ნაბიჯებს დგამენ, რაც რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. ამის მაგალითებს წარმოადგენს საქართველოს მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ სანქციებზე მიერთებაზე უარის თქმა და სლოვაკეთისა და უნგრეთის გადაუწყვეტელი პოზიცია უკრაინის სამხედრო მხარდაჭერის მიმართ, მაშინ, როდესაც ამის პარალელურად ორბანი რუსეთთან დიალოგის მომხრეა.

საბოლოო ჯამში, ფიცოს ხელმძღვანელობის პერიოდში სლოვაკეთის ისტორიული ღიაობა ევროკავშირის გაფართოების მიმართ, განსაკუთრებით მისი პრემიერობის პირველი ვადისა და ქვეყნის ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობის პერიოდში, გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც. თუმცა, ფიცოს დამოკიდებულების შემდგომი ცვლილება ევროკავშირის გაფართოებისადმი უფრო ფრთხილი მიდგომისკენ, მზარდ ევროსკეპტიციზმსა და საშინაო პოლიტიკაზე ფოკუსირებასთან ერთად, კომპლექსურ სამომავლო სცენარს წარმოქმნის. გარდა ამისა, ევროსკეპტიციზმის ზრდა ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს ართულებს. ამასთან ერთად, „ქართულ ოცნებასა“ და ევროკავშირის ევროსკეპტიკურ წევრ ქვეყნებს შორის ინტერესთა პოტენციური თანხვედრა, განსაკუთრებით რუსეთთან მიმართებით, პროცესს განსაკუთრებით ართულებს.

დასკვნა

სლოვაკეთის ახალი მთავრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს, როგორც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნისთვის გზის გაკვალვაში. საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მიღება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან კავშირების გაძლიერების მნიშვნელობას უსვამს ხაზს, რაშიც სლოვაკეთს გადამწყვეტი როლი ენიჭება ევროკავშირში მისი წარმატებული ტრანსფორმაციის გამო. მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა საქართველოს ერთგულება ევროპული ინტეგრაციის მიმართ, ქვეყანა მაინც დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე სლოვაკეთის განვითარებადი დინამიკისა და ევროკავშირის შიგნით არსებული ბოლოდროინდელი დაძაბულობის გამო. საშინაო და ეკონომიკურ საკითხებზე ფოკუსირების ფონზე, საქართველოს გაწევრიანების მხარდაჭერის პროცესში სლოვაკეთის სტრატეგიული ჩართულობის შესახებ გარკვეული ეჭვები ჩნდება.

გარკვეული ბუნდოვანების მიუხედავად, ნარჩუნდება პოზიტიური ორმხირივი ურთიერთობა საქართველოსა და სლოვაკეთს შორის დიპლომატიის, თავდაცვისა და ეკონომიკის სფეროებში. გარდა ამისა, აშკარაა სლოვაკეთის თანმიმდევრული მხარდაჭერა

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, რაც აძლიერებს ქვეყნებს შორის თავდაცვის პარტნიორობას. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო ევროკავშირში გაწევრებისკენ ისწრაფვის, სლოვაკეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ნავიგაცია, ევროინტეგრაციის პერსპექტივის ცვლილებები და საქართველოში რეფორმების პროცესი ქვეყანას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს. სლოვაკეთსა და საქართველოს დიდი პოტენციალი აქვთ ვაჭრობის, ინვესტიციებისა და კულტურული თანამშრომლობის მიმართულებით, თუმცა ამ პროცესში მზარდი ევროსკეპტიციზმი მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს. საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივა ნაწილობრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს ქვეყანა სლოვაკეთისგან წარმატებული პრაქტიკის გაზიარებას და ამ მიმართულებით მხარდაჭერის მიზნით ევროკავშირის წევრ ქვეყანასთან აქტიურ თანამშრომლობას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომრთული გეოპოლიტიკური პროცესები ჯერ კიდევ აქტიურად მიმდინარეობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

Georgian Public Broadcaster, 1. 2023. Georgian Slovak FMs discuss close partnership. ხელმისაწვდომია: https://kavkazplus.com/en/news.php?id=15632

Hlatky, Roman. 2023. Beyond Foreign Policy: The Domestic Consequences of Smer's Potential Election Victory in Slovakia. The German Marshall Fund of the United States. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/hikBP

Agenda. ge. 2022. Slovak Parliament adopts a resolution supporting Georgia's European perspective. ხელმისაწვდომია: https://agenda.ge/en/news/2022/4817

Kováčiková, Hana and Mokrá, Lucia. 2023. The Future of Slovakia and Its Relation to the European Union: From Adopting to Shaping EU Policies. (S. Rutar, Ed.) Comparative Southeast European Studies. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/deS56

Marušiak, Juraj. 2010. Slovakia and the Eastern Partnership. In P. BREZÁNI, Yearbook of Slovakia´s Foreign Policy 2009 (pp. 133-160). Bratislava: Research Center of the Slovak Foreign Policy Association.

Ministry of Foreign and European Affairs of the Slovak Republic. 2023. Strategic Foresight for the Foreign and European Policy of the Slovak Republic Risks and Opportunities for Slovakia in a Transforming World. Bratislava. ხელმისაწვდომია: https://www.mzv.sk/en/web/en/diplomacy/documents

Slovakia Presidency of the Council of the European Union. 2016. Brussels. Retrieved from https://eu2016.sk16.eu/en.html

Šagát, Milan. 2008. Slovak Foreign Policy towards the Western Balkans: Potemkin Villages. International Issues & Slovak Foreign Policy Affairs, 17(3), 45–62.

France 24. 2023. Talking Europe - Is the EU at a turning point? Populists back in Slovakia, liberals return in Poland. ხელმისაწვდომია: https://www.france24.com/en/tv-shows/talking-europe/20231103-is-the-eu-at-a-turning-point-populists-back-in-slovakia-liberals-return-in-poland

Nguyen, Thu. Schwarzer, Daniela. Vallée, Ondarza, Nicolai. Von. 2023. Sailing on High Seas: Reforming and Enlarging the EU for the 21st Century. Institut Jacques Delors. ხელმისაწვდომია: https://institutdelors.eu/en/publications/sailing-on-high-seas-reforming-and-enlarging-the-eu-for-the-21st-century/

Surowiec, Paweł. & Štětka, Václav. 2020. Introduction: Media and illiberal democracy in Central and Eastern Europe. East European Politics, 36(1), 1–8. https://doi.org/10.1080/21599165.2019.1692822

PES Presidency strips Georgian Dream of observer membership. 2023. The Party of European Socialists. ხელმისაწვდომია: https://pes.eu/pes/pes-presidency-strips-georgian-dream-of-observer-membership/

European Council. 2023. European Council conclusions on Ukraine, enlargement and reforms. ხელმისაწვდომია: https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2023/12/14/european-council-conclusions-on-ukraine-enlargement-and-reforms/

European Parliament. 2022. Foreign Interference in all Democratic Processes in the European Union: Resolution of the European Parliament on Foreign Interference in all Democratic Processes in the European Union, including Disinformation (2020/2268(INI)). Strasbourg. ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2022-0064EN.html

Zmušková, Barbara. 2023. Slovak far-right with neo-Nazi origins eyes government – EURACTIV.com. ხელმისაწვდომია: https://www.euractiv.com/section/politics/news/slovak-far-right-with-neo-nazi-origins-eyes-government/

European Parliament. 2023. Renewed Partnership with the Southern Neighbourhood – A New Agenda for the Mediterranean: European Parliament Recommendation of 14 September 2022 to the Commission and the Commission Vice-President/High Representative of the Union for Foreign Affairs and. Strasbourg. ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2022-0318EN.html

Racz, Zoltán. 2023. Aké bude vládnutie nového Ficovho kabinetu? Dnešný Smer je inou stranou, ako v minulosti, konštatuje politológ—Domáce—Správy—Pravda. ხელმისაწვდომია: https://spravy.pravda.sk/domace/clanok/684711-ake-bude-vladnutie-noveho-ficovho-kabinetu-dnesny-smer-je-inou-stranou-ako-v-minulosti-konstatuje-politolog/

Jochecova, K., Wax, E., & Barigazzi, J. 2023. European socialists suspend Robert Fico's Smer party and its ally Hlas. POLITICO. ხელმისაწვდომია: https://www.politico.eu/article/european-socialists-suspent-robert-fico-smer-hlas-party/

Burke, Jason. 2023. 'A technician of power': Robert Fico, Slovakia's veteran populist. The Guardian. ხელმისაწვდომია: https://www.theguardian.com/world/2023/oct/25/robert-fico-slovakia-veteran-populist-prime-minister

News Wires. 2023. Slovakia's new populist PM announces halt of military aid to Ukraine. France 24. ხელმისაწვდომია: https://www.france24.com/en/europe/20231026-slovakia-announces-halt-of-military-aid-to-ukraine

Osvaldová, Lucia. 2023. Fico nechce pustiť Markízu, Denník N, Sme a Aktuality na úrad vlády. Médií sa zastala prezidentka. ხელმისაწვდომია: https://dennikn.sk/3675984/fico-nechce-pustit-markizu-dennik-n-sme-a-aktuality-na-urad-vlady-medii-sa-zastala-prezidentka/

Katuška, Michal. & Hajčáková, Daniela. 2023. Fico, Pellegrini a Danko prepisujú právny štát. Končí špeciálna prokuratúra, čurillovci prídu o ochranu. SME.sk. ხელმისაწვდომია: https://domov.sme.sk/c/23253299/fico-lipsic-vlada-specialna-prokuratura-zrusenie-curillovci-ochrana.html

Silenská, Natália. 2023. Európska prokuratúra má obavy z vládnych plánov znížiť tresty za korupciu. euractiv.sk. ხელმისაწვდომია: https://euractiv.sk/section/ekonomika-a-euro/news/europska-prokuratura-ma-obavy-z-vladnych-planov-znizit-tresty-za-korupciu/

Agenda.ge. 2015. Slovakia condemns "border treaty" between Russia and Georgia's breakaway region. ხელმისაწვდომია: https://agenda.ge/en/news/2015/384

Fox, Benjamin. Vasques, Eleonora. & Noyan, Oliver. 2023. Row between Fico's Smer and European socialists deepens over pro-Russian stance. Www.Euractiv.Com. ხელმისაწვდომია: https://www.euractiv.com/section/elections/news/row-between-ficos-smer-and-european-socialists-deepens-over-pro-russian-stance/

Ministerstvo Obrany SR. 2022. Štátny tajomník M. Majer: Zriadenie úradu vojenského pridelenca v Tbilisi pomôže skvalitniť naše vzťahy s Gruzínskom. ხელმისაწვდომია: https://www.mosr.sk/52090-en/statny-tajomnik-m-majer-zriadenie-uradu-vojenskeho-pridelenca-v-tbilisi-pomoze-skvalitnit-nase-vztahy-s-gruzinskom/

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველო-სლოვაკეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები - 1992-2023. Legislative Herald of Georgia. .Agreements signed between Georgia and Slovakia - 1992-2023. Retrieved from https://shorturl.at/aeIR7

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სლოვაკეთსა და საქართველოს შორის იმპორტის მთლიანი მაჩვენებელი 2016 წლიდან 2023 წლამდე. ხელმისაწვდომია: https://ex-trade.geostat.ge/en

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სლოვაკეთსა და საქართველოს შორის ექსპორტის მთლიანი მაჩვენებელი 2016 წლიდან 2023 წლამდე. ხელმისაწვდომია: https://ex-trade.geostat.ge/en

სიღრმისეული ინტერვიუს რესპონდენტები:

ზვიად აბაშიძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა ასოცირებული პროფესორი. ონლაინ ინტერვიუ. 2023 წლის 4 ოქტომბერი.

რევაზ გაჩეჩილაძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიულ მეცნიერებათა პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სლოვაკეთის რესპუბლიკაში (2016-2020). ონლაინ ინტერვიუ. 2023 წლის 23 ოქტომბერი.

მატუშ ბუშოვსკი - სლოვაკეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში. პირადი ინტერვიუ. 2023 წლის 2 ნოემბერი.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

დათო დოლაბერიძე , მარტინა მასლიკოვა, „ევროკავშირის გაფართოების ცვალებადი ლანდშაფტი: რას ნიშნავს სლოვაკეთის ახალი მთავრობა საქართველოს ევროინტეგრაციისთვის?“ პოლიტიკის მემორანდუმი #71, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, თებერვალი 2024.

© Georgian Institute of Politics, 2024
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge

For more information, please visit
www.gip.ge